MES 4 20 0000493975

19/06/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 05.06.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;

8. პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	მაია ჭიჭილაშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I, II, III
2	ქეთევან ვაჩეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამოსის დიზაინის პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III
3	ხათუნა მანაგაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,	III

			სამუსიკო შემსრულებლობის პროგრამის ხელმძღვანელი	
4	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი	IV
5	რეზო მანველიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
6	ასიე ცინცაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
7	ბექა კობახიძე	ხსსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V
8	ალექსანდრე მიქაბერიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოწვეული ლექტორი	V
9	სტივენ ჯონსი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სრული პროფესორი	V
10	გიორგი გვალია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებეათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	V
11	მაკა ლაშხია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
12	ნათია ბურჯანაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის	V

			სამსახურის სპეციალისტი	
13	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თეიმურაზ პაპასქირი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ბონდო კუპატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამოსის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „ხელოვნების ისტორია და თეორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამუსიკო შემსრულებლობის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღისწესრიგი.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამოსის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოსის დიზაინი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 13 ივნისის N127, 2019 წლის 13 დეკემბრამდე
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამოსის დიზაინის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ზ. გორგილაძე/ვაჟა - ფშაველა 19/32
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „ხელოვნების ისტორია და თეორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 13 ივნისის N128, 2019 წლის 13 დეკემბრამდე
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ზ. გორგილაძე/ვაჟა - ფშაველა 19/32
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

3. მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამუსიკო შემსრულებლობის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 13 ივნისის N126, 2019 წლის 13 დეკემბრამდე
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ზ. გორგილაძე/ვაჟა - ფშაველა 19/32
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭომ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ დაწესებულება იყო ერთიდაიგივე პირველი, მეორე და მესამე საკითხები განიხილა ერთად:

პირველი საკითხი: „სამოსის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომერემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია შესასრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათთან იმდენად სრულყოფილად ხდება კოსტიუმების ქარგის შექმნა და დამუშავება, რომ ზედმეტი ქსოვილის დახარჯვა არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად, მისი თქმით მათთან საკმაოდ მაღალ დონეზე ისწავლება კერვის ტექნიკა და ტექნოლოგია, მათი სტუდენტები, სხვა უნივერსიტეტებისგან განცხვავებით თვითონ აკეთებენ ყველაფერს, თვითონ კერავენ. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, მათ ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინეს.
საბჭოს წევრი, ნინო დობორჯგინიძე დაინტერესდა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მისი თქმით პირველი რეკომენდაციის შინაარსი განსსხვავებულია, კერძოდ ის ეხება ნაშრომში ანალიტიკური და კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას, შემოქმედებითი და კონცეპტუალური ასპექტების სიღრმისეულ კვლევა - ძიებას, შესაბამისად, ის დაინტერესდა რამდენად შეასრულა დაწესებულებამ რეკომენდაციაში ნახსენები ანალიტიკური და კვლევითი კომპონენტების გაძლიერება.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ქალბატონი მაიას სასწავლო კურსში ეს არის ხელოვნებათმცოდნეობის ანალიტიკური კურსი, სადაც სტუდენტები გადიან და სწავლობენ ამას. ასევე სტუდენტები წერენ სადიპლომო ნაშრომს სადაც ამის მტკიცებულება იქნება.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით მათთვის უფრო მნიშვნელოვანია შემოქმედებითი პროექტი, რომელსაც ერთვის წერილობითი ნაწილი, სადაც არის საუბარი ანალიტიკურ მიდგომებზე, რომლიც სტუდენტმა განახორციელა უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, ეს კურსი კი გათვალისწინებულია აი ამ ხელოვნებათმცოდნეობის ანალიტიკურ კურსში, რომელიც ითვალისწინებს ანალიზის შესრულებას, კონცეფციაზე მუშაობას და სხვა. ანუ, მთელი ეს ნაშრომი, თეორიული ნაწილი, ერთვის ყველაზე მნიშვნელოვან, ძირითად კომპონენტს, ეს არის შესრულებული ნამუშევარი, დიზაინერული პროექტის სახით.
დიმიტრი გეგენავამ დააზუსტა, რომ ამ შემთხვევეაში ალბათ საუბარია არა კლასიკურ სამაგისტრო ნაშრომზე არამედ ინტეგრირებულ სამაგისტრო ნაშრომზე, არსებობს ძირითადი პროქტი პლიუს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გამოყენებული მიდგომებისა და კონცეფციების ანალიზი, რომელიც თეორიულად ერთვის პროექტს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ მათ პროგრამის განხორციელების წესში გაწერილი აქვთ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ფორმატი, რომელიც მთლიანად დაცულია სამაგისტრო ნაშრომებში.
დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ უფრო სწორი იქნება სამაგისტრო ნაშრომის ნაცვლად იყოს სამაგისტრო პროექტი, მისი თქმით ბიზნესის სამაგისტრო პროგრამებზეც ხშირად არა სამაგისტრო ნაშრომს, არამედ ასრულებენ კონკრეტულ პროექტს და კონცეფციას.
თამარ ტუფუნაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის შედეგები არის სხვა, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შედეგები სხვა, შესაბამისად, მან კითხვით მიმართა დაწესებულებას, პროგრამის შედეგები იმისდამიხედვით შეიცვლება თუ რა კომპონენტს აირჩევს სტუდენტი?
დიმიტრი გეგენავამ დააზუსტა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერი ჩააწერეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ზოგად წესში და არა პროგრამაში.

ნინო დობორჯგინიძე დაინტერესდა შეფასების წესთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სილაბუსი წარმოდგენილი იყო ერთჯერადი შეფასების სისტემით, უბრალოდ კურიკულუმში იყო ჩარჩენილი ორ ეტაპიანი შეფასება, რომელიც იყო მექანიკური შეცდომა, ეს ყველაფერი გასწორებულია და გამოგზავნილია კურიკულუმი სადაც მოცემულია ერთჯერადი შეფასება.
მანანა კევლიშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაესახელებინა ერთ - ერთი დაცული სამაგისტრო ნაშრომის თემა, დაწესებულების წარმომადგენელმა სხვა თემებთან ერთად დაასახელა სამაგისტრო ნაშრომი სათაურით „ სტადიონი“.

მეორე საკითხი:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს და დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ გადასულიყვნენ მეორე პროგრამის „ხელოვნების ისტორია და თეორიის“ სამაგისტრო პროგრამის ანგარიშის განხილვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ, თითქმის ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს, მან გამოყო ორი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სასწავლო პროცესს და სტრუქტურას, კერძოდ რეკომენდაცია იყო რომ პროგრამას დაემატოს პლასტიკის შემსწავლელი შემსწავლელი კურსები, შესაბამისად მათ „კინომატოგრაფიის ძირითადი ტენდენციების“ საგანი გადაიტანეს არჩევით საგნებში და ამ საგნის ნაცვლად ჩასვეს „თანამედროვე ქართული ქანდაკება“. ასევე, ერთ - ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ლიტერატურის განახლებას, მისი თქმით ისინი მუდმივად ქმნიან ახალ “რიდერებს”, მჭიდროდ თანამშრომლობენ ჩუბინაშვილის ცენტრთან, მისი თქმით ქართული ხელოვნების ისტორიის მიმართულებით, ლიტერატურა ძირითადად არის რუსულ ენაზე. როგორც მან აღნიშნა ერთ - ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკის კომპონენტის დამატებას რაც ასევე შეასრულეს, მან ყურადღება გაამახვილა სამუზეუმო პრაქტიკაზე, სადაც ასევე დასაქმებული არიან მათი სტუდენტები, ასევე, მათ სტუდენტებს პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა აქვთ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და მეორე ლოკაციაა სამუზეუმო საგალერეო სექტორი. დანარჩენი რეკომენდაციები ეხებოდა საერთაშორისო აქტივობებს, მისი თქმით, ისინი ჩართულები არიან ერასმუსის პროექტში, ისინი არიან ერთადერთი დაწესებულება დასავლეთ საქართველოში, რომელიც ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს კულტურისა და ხელოვნების მიმართულებით. ერთ - ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ელექტრონულ საქმის წარმოებას, მან აღნიშნა რომ ეს სისტემა მუშაობს, უბრალოდ აკრედიტაციის გავლის დროს ეს სისტემა არ იყო ამოქმედებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა პლაგიატთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ შარშან გადააგზავნეს ნაშრომები პლაგიატზე შესამოწმებლად და პლაგიატი არ დაფიქსირებულა.
გურანდა ჭელიძე დაინტერესდა, იქედან გამომდინარე, რომ პრაქტიკის სასწავლო კურსები არჩევითი ბლოკში ჩანს, სტუდენტი, რომელსაც უნდა სრულყოფილი განათლება მიიღოს რასაკვირველია აირჩევს პრაქტიკას, მაგრამ თუ არ აირჩია სტუდენტმა არჩევითი საგნების ბლოკიდან პრაქტიკის კომპონენტი, მაშინ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრირებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ აქვთ ისეთი საგნები სადაც სტუდენტებს უწევთ ტილოზე მუშობა, ანუ მათ აქვთ ისეთი თეორიული კომპონენტები სადაც სტუდენტებს უწევთ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაც.

მესამე საკითხი:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს და დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ გადასულიყვნენ მესამე პროგრამის „სამუსიკო შემსრულებლობის“ სამაგისტრო პროგრამის ანგარიშის განხილვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა მანაგაძემ პირველ რკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ პირველი სემესტრი ძირითადად დატვირთული აქვთ თეორიული საგნებით, რომლებიც აუცილებელია ყველა მაგისტრისთვის, ხოლო მთლიანი დატვირთვა გადააწყეს მეორე სემესტრიდან, ვინაიდან გამოითქვა სურვილი, რომ პირველსემესტრშიც ყოფილიყო საკონცერტმაისტერო და კამერულ კლასის დისციპლინები გათვალისწინებული, სტუდენტებთან შეთანხმებით, მათი დროის გათვალისწინებით, მიიღეს აღნიშნული გადაწყვეტილება.
ხათუნა მანაგაძემ, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ვერ წვდება უცხოეთიდან აქტიური ფორმით სპეციალისტების მოწვევას, თუმცა რასაკვირველია ყველა ინფორმაცია განთავსევული იქნება ელექტრონულ გვერდზე და სტუდენტები მიიღებენ ყველანაირ ინფორმაციას, გარდა ამისა ბათუმის მერიას და აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს აქვს სხვადასხვა ტიპის პროექტები სადაც შეიძლება მიიღო მონაწილეობა და დააფინანსო გარკვეული პროექტის განხორციელება, როგორც მან აღნიშნა ამჟამად შესულია სეზონური სკოლის სახელწოდებით პროექტი, რომლის განხორციელებაც გადაიდო სექტემბერში, ისინი ფიქრობენ, რომ აღნიშნული პროექტი დაფინანსდება და ეს ძალიან საინტერესო გამოწვევა იქნება სტუდენტებისთვის, ეს იქნება თავამედროვე ნოტაციების შესწავლა და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებების შესრულება, სადაც მოწვეული იქნებიან კომპოზიტორები თბილისიდან და გერმანიიდან.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ყველა რჩევაზე, რაც გაიცა საბჭოს მიერ.
თამარ ტუფინაშვილი დაინტერესდა ერთ - ერთ რეკომენდციაზე, რომლის შესახებაც არ იყო ინფორმაცია ასახული ანგარიშში, აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსის მიზნებს, შედეგებს და დასახელებებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მაგალითად ერთ - ერთ საგანში, რომელზეც იყო საუბარი ოქმში „პრაქტიკული პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები“ შეიცვალა შედეგები, აღნიშნუილი შედეგები ვიზიტის დროს ჩასწორდა ექსპერტებთან ერთად, ასევე იყო მეორე საკითხიც, გამომდინარე იქედან, რომ სამაგისტრო ნაშრომი არ მოიცავს კვლევას მათ გადაწყვიტეს საგანს შეუცვალონ სახელი.
საბჭოს ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა მეწარმეობასთან დაკავშირებით, მან გაიხსენა ერთ ერთი პროგრამა -კულტურის მენეჯმენტი, რომლის შეფასების დროსაც იმყოფებოდა, როგორც ექსპერტი, აღნიშნულ პროგრამასთან მიმართვებითაც გაიცა მეწარმოებასთან დაკავშირებით რჩევა, შესაბამისად მან დაწესებულებას შესთავაზა, კარგი ხომ არ იქნებოდა ბაკალავრის სტუდენტები, რომლებიც იქ არიან ჩართულები თუნდაც პროექტის სახით იყვნენ ჩართული ამ პროგრამაში და მათ განახორციელონ პროდუქტის შეფუთვა, გაყიდვა, როგორც მან აღნიშნა, რთულია ორ კრედიტად ნასწავლი მეწარმეობის პრაქტიკაში გამოყენება.
დაწესებულების წარმომადგენლები მიესალმნენ აღნიშნულ რჩევას და აღნიშნეს, რომ ისინი ფესტივალების დროს იყენებენ ამ რესურსს.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამოსის დიზაინის“, „ხელოვნების ისტორია და თეორიის“ (ხელოვნებათმცოდნეობა), „სამუსიკო შემსრულებლობის“ (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო) სამაგისტრო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხები.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამოსის დიზაინის“, „ხელოვნების ისტორია და თეორიის“ (ხელოვნებათმცოდნეობა), „სამუსიკო შემსრულებლობის“ (კლავიშიანი საკრავები; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო) სამაგისტრო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები მიღებულ იქნა ცნობად.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 16 იანვრის N09, 1 წელი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომერემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია შესასრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები მოიცავდა მეორე და მეხუთე სტანდარტს, მეორე სტანდარტში, ერთ - ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მიღების პროცესი გამხდარიყო უფრო გასაგები, მისი თქმით უნივერსიტეტში აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციამდე მოქმედებდა სამი სადოქტორი პროგრამა, ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ფინანსების და ფულის მიმოქცევისა და კრედიტების პროგრამები, მათ აკრედიტაციის პროგრამების მიმართ არსებული ახალი მოთხოვნების, მათი აკადემიური რესურსის, ზოგადად, უნივერსიტეტის სადოქტორო პოლიტიკის გათვალისწინებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე ეთქვათ უარი ხოლო ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების და ფულის მიმოქცევისა და კრედიტების პროგრამების გაერთიანების შედეგად შემუშავდა ახალი პროგრამა, რომელსაც ეწოდა „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამა, მათ აღნიშნულ პროგრამაზე მიღება გახადეს ორ ეტაპიანი, პირველი, დოქტორანტი აბარებს გამოცდას ინგლისურ ენაში, სადაც მან ცოდნა უნდა დაადასტუროს B2 დონეზე, აღნიშნული გამოცდის გავლის შემდეგ კი ის გადის გასაუბრებას, სადაც ხდება მისი პროფესიული ცოდნისა და მოტივაციის შეფასება, წინასწარ არის განსაზღვრული მიღების პირობები და საკითხები, რომლებიც განთავსებულია ვებ - გვერდზე. მისი თქმით, უნივერსიტეტს, საანგარიშო პერიოდში პროგრამაზე მიღება არ განუხორციელებიათ რადგან ძველ, წინა პროგრამებზე მათ ჰყავდათ დაახლოებით 51 დოქტორანტი, რომელთაც ჰქონდათ სტატუსი შეჩერებული და ახალ პროგრამებზე, მათი სტატუსის აღდგენა ავტომატურად არ მომხდარა, მათ აღადგინეს მხოლოდ 26 დოქტორანტი, ისინი, წელს, სასწავლო წლის დასაწყისში აპირებენ მიღების გამოცხადებას, ოღონდ მხოლოდ სამ ადგილზე. ასევე, საანგარიშო პერიოდში ექვსმა დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია.

მეორე რეკომენდაცია ითვალისწინებდა, კვლევის მეთოდებზე ორიენტირებული კურსების დამატებას, როგორც მან აღნიშნა, მათ პროგრამით გათვალისწინებული აქვთ კვლევითი სასწავლო კურსები, შემდეგი სახელწოდებით „ კვლევის ხერხები და მეთოდები“ რომელიც თავის თავში მოიცავს თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების თანამედროვე მიღწევების გაცნობას დოქტორანტებისთვის, ასევე არსებობს სასწავლო კურსი, რომელიც არის უფრო ჩაღრმავებული რაოდენობრივი კვლევის მიმართულებით, თუმცა მათ გაითვალისწინეს ექსპერტების რეკომენდაცია და დაამატეს ახალი სასწავლო კურსები, „მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი“ „ადმინისტრაციული ეთიკა და ორგანიზაციული ლიდერობა“ და სხვა.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა შეფასების მეთოდებს, რომელიც მათ გაითვალისწინეს, მისი თქმით აღნიშნულ პროგრამაზე შეფასების სისტემა წარმოდგენილია კომბინირებულად, სადაც, ძირითადად დომინირებს დავალებების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია ანალიზთან, გააზრებასთან და არა კონკრეტული, მექანიკური ცოდნის შეფასებასთან. ერთ - ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ასევე შიდა ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებას, მისი თქმით ამ მიმართულებით, უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა, მათ შემუშავებული აქვთ ერთიანი წესი, რომლითაც რეგულირდება პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მეთოდები და რეალურად, ეს მეთოდთა ერთობლიობა იმდენად მრავალფეროვანია რომ ის აძლევთ შესაძლებლობას მიიღონ სრული ინფორმაცია პროგრამის განვითარებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ რჩევები უფრო მეტია ვიდრე რეკომენდაციები, აღნიშნულთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოზეც დაისვა კითხვა და ექსპერტების მიერ შემდეგი პასუხი იქნა გაცემული, რომ პროგრამა კარგია, მან უნდა გააგრძელოს ფუნქციონირება უბრალოდ რჩევები გაიცა პროგრამის უფრო მეტად განვითარების და დახვეწის მიზნით.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდთან დაკავშირებით, როგორც მან აღნიშნა, ერთ - ერთ კომპონენტში წერია, რომ დისერტაცია ფასდება რამდენჯერმე, რაც მისი თქმით პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დისერტაცია ფასდება ერთჯერადად სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ დაცვის დროს, უბრალოდ დისერტაციის შესრულების

პროცესის კონტროლის კოორდინირების მიზნით მათ მეოთხე და მეექვსე სემესტრში დადგენილი აქვთ დოქტორანტის მიერ პირველი და მეორე კოლოქვიუმის შესრულება. თუმცა საბოლოოდ შეფასება ხდება დისერტაციის დაცვის დროს.
ნიკოლოზ კიკნაძემა ღნიშნა, რომ პროგრამაში ნათლად იკითხება, რომ დოქტორანტს მეორე სემესტრში ენიჭება 10 კრედიტი, მესამეში 20 და ა. შ ის დაინტერესდა რას ნიშნავდა აღნიშნული კრედიტები?
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს არის სამეცნიერი კომპონენტის შესრულების კრედიტები, მისი თქმით 120 კრედიტი, რომელიც განკუთვნილია სამეცნიერო კომპონენტის შესრულებაზე, რიალურად ის სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებით, მაგრამ მათ პირობითი დაყოფა აქვთ იმისათვის რომ დისერტაციის შესრულების პროცესი იყოს კონტროლირებადი
დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ კარგია დისერტაციის შესრულების დინამიკის კონტროლი, თუმცა, აქ არაა საუბარი იმაზე, მხოლოდ და მხოლოდ უნდა შეფასდეს თუ არ შეფასდეს ნაშრომი, შეფასებას ყოველთვის თან სდევს ის კრედიტები რომლებიც ამ კოგნიტურ დანახარჯში აკუმულირდება, შესაბამისად ის ბრძანება, რომელიც ადგენს შეფასების ერთიან სტანდარტს და წესს, გულისხმობს არა მხოლოდ შეფასებას, არამედ საბოლოო ჯამში კრედიტების მინიჭებასაც ერთიანად და არა კრედიტების დანაწევრებას. მისი თქმით, შეფასება შეიძლება განხორციელდეს ქულის გარეშე, მაგალითად უბრალოდ კომისიამ გამოხატოს კმაყოფილება, ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც ჰქონდა დისერტაციის და სამაგისტროს ნაშრომების შესრულებას იყო ის ნაწილი, რომელიც ერთსა და იმავე შრომაში კრედიტების ორჯერ ჩათვლას გულისხმობდა, მისი თქმით, როდესაც საბოლოო დისერტაციის დაცვა ხდება დოქტორანტი იქაც ხომ იმ ნაწილებს იცავს, რომელშიც უკვე კრედიტი აქვს მიღებული, ანუ გამოდის, რომ ერთსა და იმავეში ორჯერ ანიჭებთ კრედიტს, ეს იყო თავის დროზე აკრძალვის ინიცირების საფუძველი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი, 120 კრედიტის მინიჭებას ახდენენ სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას, ის ჩაშლა კი იყო მექანიკური რაც გასწორდება.
ნიკოლოზ კიკნაძე, ექსპერტთა რჩევიდან გამომდინარე დაინტერესდა იმ გარემოებით პროგრამის ხელმძღვანელმა, სასწავლო კურიკულუმში სავალდებულო ნაწილში თუ რატომ არ გაითვალისწინა მაგალითად უმაღლესი ეკონომეტრიკა 1, 2 და ა.შ
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი რეალურად, დოქტორანტს ამზადებენ პედაგოგიური საქმიანობისთვის და ახალი ცოდნის გენერირებისათვის, შესაბამისად მათ სჭირდებოდათ ისეთი სასწავლო კურსების წამოწევა, რომელიც ხელს შეუწყობდა მას იმ უნარების განვითარებაში რომელიც დაკავშირებული იქნებოდა კვლევის განხორციელებასთან. განსაკუთრებით რაოდენობრივ კვლევასთან მიმართებით, მათ უმაღლეს ეკონომეტრიკა 1 - ზე და 2 - ზე უარი თქვეს, რადგან ეკონომეტრიკა 1 - ს ბუნებრივია დოქტორანტურის დონეზე ვერ ჩასვამდნენ, რადგან ეს ისწავლება საბაკალავრო საფეხურზე. ექსპერტების რეკომენდაციაც იყო რომ მათ გაეძლიერებინათ კლევის არამხოლოდ თვისობრივი, არამედ, რაოდენობრივი მეთოდებიც.
საბჭოს წევრი ნინო დობორჯგინიძე დაინტერესდა თუ აპირებს უნივერსიტეტი ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით საერთაშორისო ჟურნალებში რაიმე სტატიის გამოქვეყნებას, მაგალითად scopus - ის ბაზაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ უნივერსიტეტში შექმნეს სამეცნიერო კვლევების პოლიტიკა, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ აკადემიურ თანამდებობას პირი ვერ დაიკავებს, თუ მას არ ექნება შესრულებული პუბლიკაცია scopus - ში ან სხვა საერთაშორისო ბაზაში. აქედან გამომდინარე იმ აკადემიური პერსონალიდან, რომლებიც მათ აიყვანეს აღნიშნულ მოთხვნას აკმაყოფილებდნენ, რაც შეეხება სტუდენტებს, მისი თქმით გასულ წელს ექვსმა დოქტორანტმა დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი და ეს არის მათი ავტო - რეფერატები, ამ ექვსივე ავტო - რეფერტატში თითო ნაშრომი არის შესრულებული პერიოდულ გამოცემებში რომლებიც ინდექსირდება scopus – ის ბაზაში.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა სადოქტორო ნაშრომების თემატიკაზე, წარმომადგენელმა ჩამოთვალა რამდენიმე სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: „ეფექტიან რისკ მენეჯმენტზე მოქმედი ფაქტორების სრულყოფის გზები თანამედროვე საბანკო სისტემაში“ „ ბიზნეს სუბიექტების ინსტიტუციურ ფინანსური ანალიზი და პრევენციული ანტიჯრიზისული სტატისტიკა“ „ინტერნეტრეკლმის განვითარების თავისებურებები და მისი გავლენა მომხმარებლის ქცევაზე“

გიორგი თურქიამ აღიშნა, რომ არამარტო საქართველოში, ზოგადად გლობალურად პრობლემაა ბიზნეს ადმინისტრირებაში სადისერტაციო ნაშროის დაცვა, მაგალითად, ზოგი იცავს ბუღალტერიის მიმართულებით და ხდება ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირება არის პრაქტიკული ეკონომიკის რეალიზების შესაძლებლობა და გამოყენებითი კვლევების ორიენტირი. ფინანსების გამოყენება ბიზნესში არ უნდა გადავიდეს მაკროეკონომიკურ ასპექტში, ასევე მათ განსაზღვრული აქვთ მიმართულებები, თუ რაში შეიძლება დისერტაცია მომზადდეს.

ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, კერძოდ რა კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს დოქტორანტობის მსურველს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ პროგრამაზე არ აქვთ რაიმე შეზუდვა კვალიფიკაციის კუთხით.

ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა მთლიანობაში, რამდენი დოქტორანტის მომზადება შეუძლია უივერსიტეტს აღნიშნულ პროგრამაზე, იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა წინა პროგრამებზე სტატუსშეჩერებულმა სტუდენტებმა აღიდგინონ სტატუსი. ეს ხომ არ შექმნის ადმინისტრირების თვალსაზრისით პრობლემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის აღდგენა ხდება მობილობის დროს, სადაც ისინი ითვალისწინებენ იმას თუ რა აქვს მას სადოქტორო ნაშრომში შესრულებული, ზოგადად მათი აღნიშნული სადოქტორო პროგრამა გათვლილია 9 დოქტორანტზე, მათ ჰყავთ 26 აკადემიური პირი, თითოეულ აკადემიურ პირს შეუძლია ჰყავდეს ორი დოქტორანტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თანამედროვე საქართველოს ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი

4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი, №3/5
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა ნინო დობორჯგინიძე.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექპერტებს წარმოედგინათ პოზიცია.

ესპერტთა მოსაზრება:

ექსპერტთა თავმჯდომარის მითითებით, დასკვნაში განსაზღვრულია შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

1. გამდიდრებულ იქნას ქართულენოვანი ლიტერატურით შემდეგი საგნები: ახალი საქართველო (1985-2012)“, „საბჭოთა საქართველოს ისტორია“, „კავკასია XIX-XXI: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია“ და „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთამდელი ქართული საზოგადოება (1890-1921);
2. შესაბამისობაში იქნას მოყვანილი პროგრამაში მითითებული საგნების სათაურები – „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე 1789-1914 წლების გლობალური ისტორია“, „რუსეთის ისტორია პეტრე დიდიდან ოქტომბრის რევოლუციამდე“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთამდელი ქართული საზოგადოება (1890- 1921)“, „ახალი საქართველო (1985-2012)“ – სილაბუსებში მოცემულ დასახელებებთან („ევროპა და მსოფლიო ხანგრძლივი მე-19 საუკუნის პერიოდში, 1789-1914“, „იმპერიული რუსეთი“, „ქართული სოციალ-დემოკრატია ოპოზიციასა და ხელისუფლებაში“, „ერისა და სახელმწიფოს მშენებლობა ახალ საქართველოში (1985- 2012)“);
3. საგნებში „1914-2000 წლების გლობალური ისტორია“ და „საბჭოთა საქართველოს ისტორია“ კვირეულად დასამუშავებელი ლიტერატურა მოყვანილ იქნას შესაბამისობაში სტუდენტების დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი საათების რაოდენობასთან.
4. შესწორდეს ბიუჯეტი რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით და მოერგოს ის კონკრეტულად თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამას.
5. პროგრამის გარე შეფასება აღნიშნულ შემთხვევაში უნდა განახორციელოს საქართველოს ისტორიის სპეციალისტმა.
რჩევებს რაც შეეხება 13 დან 7 არის ინგლისურენოვანი ვინაიდან ლექციები ინგლისურ ენაზე იკითხება და მხოლოდ ქართული წერია სასწავლო ენად, აღნიშნული გარკვეულ პრობლემას ქმნის, მაგრამ როგორც დააზუსტეს რადგან არაა რაიმე შემზღუდავი რეგულაცია ამიტომ რჩევებში გადაიტანეს.
სამომავლოდ პროგრამის მიზნების უკეთ რეალიზაციისთვის, ფიქრობენ, უმჯობესი იქნება ილიაუნის შიდა რესურსის მეტად გამოყენება და საქართველოს უახლესი ისტორიის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა (ლაშა ბაქრაძე, დავით მალაზონია, გოგი გვახარია და ა.შ.) ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის გამდიდრებას სოციალური და კულტურის ისტორიის მიმართულების არჩევითი საგნებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს თხოვა წარმოედგინათ პოზიცია.

პროგრამის თანახელმძღვანელმა ბექა კობახიძემ მოკლედ მომოიხილა პროგრამა, აღნიშნა, რომ უნიკალური შემთხვევაა ქართულ რეალობაში, როცა სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად შეიკრიბა ესეთი პროფესიონალები. სამ ნაწილად დაყოფდა პროგრამაში მონაწილე პირებს. პირველი ნაწილი მიჩიგანის უნივერტეტის წარმომადგენელი რონალდ სუნი, სტივენ ჯონსი, ალექსანდრე მიქაბერიძე ლუიზიანის უნივერტეტის სრული პროფესორი, მეორე ნაწილი არის ილიაუნის შიდა რესურსი, რომლებიც ასევე გამოირჩევიან ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით, ტიმოთი ბლაუერტი, ოლივერ რაისნერი, მალხაზ თორია, რომელიც ახლა ამერიკაში მუშაობს, ადრიან ბრისკუ, და ა. შ. მესამე ნაწილი არის ახალგაზრდა თაობა, ისინი როლებმაც დასავლეთში მიიღეს განათლება და მათ სჭირდებოდათ პლატფორმა თავიანთი ცოდნის გაზიარებისთვის. მას პირადად ოქსფორდის უნივერსტეტში მუშაობის გამოცდილება აქვს. პროგრამაში მონაწილე ხალხი გარკვეულწილად არის “საქართველოს ნაკრები” და შეეცდებიან, რომ გაიზარდოს მკვლევარების ინტერნაციონალიზებული თაობა, რომლებიც თავისუფლად შეძლებს ქართულად, ინგლისურად და სხვა ენებზე კვლევას.
მან აღნიშნა, რომ უამრავი საკითხია ისტორიაში გამოსაკვლები, ინგლისურენოვანი ლიტერატურა საქართველოს ისტორიაზე მცირეა და ამ კუთხით კავკასიის რეგიონსაც ჩამოვრჩევით. სტარტაპი იქნება ეს პროგრამა, ამ კუთხით და შემდეგ აღმოსავლეთ ევროპასთანაც შეიძლება უკვე კონკურენციაში შესვლა.

სტივენ ჯონსმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს, აღნიშნა, რომ გახარებულია, მონაწილეობის საშალება, რომ აქვს ამ პროგრამაში. აღნიშნა, რომ პროგრამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, საუკეთესო ახალგაზრდა ისტორიკოსები არიან ამ პროგრამაში მონაწილეები. პროგრამა მნიშვნელოვანია იმის გამოც, რომ ექნება სხვა პერსპექივა, რამდენიმე დასავლელი მონაწილეობს პროგრამაში. იგი ამაში არ გულისმობს, რომ უკეთესები არიან, არამედ იმას, რომ მათ შეუძლიათ მოიტანონ სხვა პერსპექტივა. მათ კონტაქტები აქვთ დასავლეთში. ბევრს იცნობს ვინც მუშაობს იგივე თემებზე და იმედი აქვს, რომ ამ პროგრამის ფარგლებში იქნება მეტი გაცვლა გამოცვლა ილიას უნივერტეტს და სხვა დასვლური უნივერსიტეტებთან. წლის განმავლობაში ის სამი თვე მაინც იქნება საქართველოში ფიზიკურად, დაალხოებით მაისიდან ივნისამდე რაც ასევე დაეხმარება პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ალექსანდრე მიქაბერიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს მოწვევისთვის, მან საუბრისას ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აპირებენ უფრო აქტიური მონაწილეობა მონაწილეობა სწავლებაში. საქართველოში არის სხვა პროგრამებიც რომლებსაც კონტაქტები აქვთ, მაგრამ მიმოსვლა ნაკლებად არის. როგორც სტივენი ასევე თვითონაც იქნება წლის განმავლობაში გარკვეული პერიოდი საქართელოში, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროგრამაში მონაწილეობის ნაყოფიერებას.

პროგრამის თანახელმძღვანელმა ისაუბრა რეკომენდაციებზე. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მათი ამოსავალი წერტილი არაა რა ენაზე იქნება ლიტერატურა მიწოდებული. ექსპერტებიც აღნიშნავდნენ, რომ კვალიფიკაცია არის ძალიან მაღალი და ბუნებრივია ამ პერსონალმა აკადემიური თავისუფლების ფარგლებში შეაფასა ლიტერატურა და რაც აკლიათ ეს არის წამყვანი დასავლური ლიტერატურა და მათი ამოსავალი წერტილი არაა რა ენაზე ასწავლიან. სტუდენტები თავისუფლად შეძლებენ ინგლისურ ენაზე მუშაობას. ამ ფერხულში ჩადგებიან. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დასახელებული ყველა საგანი არის ის რაც ინგლისურად იქნა მიწოდებული და შემდეგ გადაითარგმნა. ამან შეიძლება გამოიწვია ეს საკითხი, რადგან თარგმნის დროს არსებობს ორი პრინციპი პირდაპირი თარგმანი და მეორე ინტერპრეტაცია. მაგალითად, ინგლისურად Imperial Russian საგანი ქართულად იმპერიული რუსეთის თარგმანით სხვა კონოტაციაა, მიუთითებს რუსეთის იმპერიულ ბუნებაზე, მაგრამ ინგლისურ ენაში ეს ნიშნავს, როცა რუსეთი იყო ოფიციალურად იმპერია. იგივე პრინციპია სხვა საგნებთანაც. ასევე ესმის, რომ მეორე მხრივ სტუდენტისთვის შეიძლება დამაბნეველია კურიკულუმში ერთი სათაური და სილაბუსში სხვა სათაური.

ექსპერტთა თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა, რომ მაშინ სილაბუსებშიც შეცვალონ ეს სახელები. პროგამის თანხელმძღვანელმა განმარტა, რომ უნდა აღნიშნოს, რომ ეს შეცდომა არ ყოფილა და თავისი მიზეზი ჰქონდა, ეს ტექნიკური საკითხია და გასწორდება.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ ეთანხმებიან დიდი რაოდენობის "რიდერებზე" რეკომენდაციას. საგანი ჯდება 6 კრედიტის ფარგლებში. მართალია სხვადასხვა კვირას დატვირთულობა განსხვავებულია, ბუნებრივია თითოეულ სალექციო კვირას ერთიდაიგივე "რიდერები" ვერ ექნება, მაგრამ მთლიანობაში 6 კრედიტში თავსდება. ამასთან, არსებობს შერჩევითი წაკითხვის მეთოდიც, როცა გეძლევა მთელი წიგნი, იქ არის ძირითადი საკითხები რომლებსაც გულდასმით კითხულობ და რომლებსაც უბრალოდ გადახედავ, ეს პრაქტიკა ამერიკული და ევროპული უნივერსტეტებშიც ასეა და საერთო ჯამში ამ მიმართულებითაც არსებობს სათანადო არგუმენტები.

შემდეგი საკითხი ეხებოდა გარე შეფასებას და დონალდ რეინფილდს, უნდა აღნინიშნოს, რომ თითქმის ყველა პირი ვინც ქართული კარგად იცის და კომპეტენტურია პროგრამაშია ჩართული და დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს. რადგან ქართულად მიდის წარმოება ვერ მოიწვევდნენ იმ სპეციალისტს ვინც ქართული არ იცის. დონალდ რეინფილდის კვალიფიკაციას რაც შეეხება ის ნამდვილად დასტურდება, ის არის ქვინ მერის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი. თუ უნდოდათ საერთაშორისო აკადემიური რეცენზია ჰქონდოდათ ამაზე უკეთესს ვერ ნახავდნენ იმის გათვალსიწნებით, რომ სხვები ჩართულები არიან პროგრამაში.

ბიუჯეტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე გაირკვა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი რასაც დაწესებულება აუცილებლად გამოასწორებს. კერძოდ, ბიუჯეტი გათვლილია 10 დან 15 სტუდენტამდე. რადგან ეს პროგრამა 2 წლიანი, შესაბამისად ტექნიკური უზუსტობის გამო ეს რაოდენობა გაორმაგდა და გამოვიდა რომ 30 სტუდენტზე იყო, სინამდვილეში ეს არის ორი წლის. თითო წელს კი მაქსიმუმ 15 სტუდენტი მოიაზრება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რეინფილდთან დაკავშირებით მკვეთრად დააფიქსირა პოზიცია, რომ მის წიგნებში დაშვებულია მძიმე ხარისხის შეცდომები, იგი არ არის საქართველოს ისტორიის სპეციალისტი და არ აქვს შესაბამისი კომპეტენცია. დაწესებულების წარმომადგენლებს გაუგზავნა დოკუმენტი სადაც მითითებულია იმ შეცდომებზე, რომლებიც დაშვებულია რეინფილდის მიერ საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ წიგნებში. მაგალითად, როგორიც არის ედუარდ შევარდნაძემ ვიცეპრეზიდენტად დანიშნა აბაშიძე, აფხაზები შემოვიდნენ 2008 წელს ზუგდიდში და სენაკში, აღნიშნული ცხადყოფს, რომ ის არაა საქართველოს ისტორიის სპეციალისტი. ასევე შეინიშნება ანტიქართული ელემენტები, მაგალითად კიტოვანმა დაწვა ქართველების საგანძური, ამ კულტურულმა გენოციდმა.. რომელი კულტურული გენოციდი, არქივი დაიწვა, გაუჩნდა ცეცხლი, ასეთ რაღაცას, რომ გვაბრალებს როგორ შეიძლება პროგრამა მიეცეს რეცენზიისთვის, ჯერ რუსული ლიტერატურის სპეციალისტი იყო, შემდეგ ქართულის და ახლა გადავიდა ისტორიაზე. მისი აზრით, არ შეიძლება ეს პროგრამა შეაფასოს მან, მით უმეტეს, რომ პროგრამა კარგია. ასეთი პირი, რომ შეაფასებს დადებითად პროგრამას, გამოდის, რომ დაწესებულება ამას იზიარებს.
ნინო დობორჯგინიძემ კომენტარი კააკეთა, რომ მიუხედავად იმის, რომ არ ეთანხმებიან ექსპერტები გარე შემფასებელი პირის საკითხს არ შეიძლება მორალურ ჭრილში ამის გადატანა, ოქსფორიდის უნივერსიტეტმა პროგრამა რაც გააკეთა საქართველოსთან დაკავშირებით იმის შეფასებაც რეინფილდმა გააკეთა, ფიქრობს, რომ მორალურ ჭრილში გადატანა არაა სწორი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არ შეიძლება პროგრამა არასპეციალისტმა შეაფასოს. ნახსენებ ოქსფორდის პროგრამაზე კი მიუთთა, რომ იქ ორი შემფასებელი ჰყავდა პროგრამას და შესაბამისი კვალიფიკაციებით ნაწილდებოდა შეფასების საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ მხარეებს მოუწოდა, რომ საკითხს არ გასცდენოდნენ და აღნიშნა, რომ ზოგადად უნივერტეტის კომპეტენციაა ვის გააკეთებინებს გარე შეფასებას, ექპერტის საქმეა შეაფასოს გარე შემფასებელი არის თუ არა მზად საგნობრივად პროგრამის შეფასებისთვის და საბჭოს გადასაწყვეტია, რომელ რეკომენდაციას გაითვალისწინებს და რომელს არა. მთავარია სტუდენტმა მიიღოს კარგი პირობები და ეს პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.
საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ დიდი პატივია ბატონი სტივენის, ალექსანდრეს, ბექას მოსმენა, ის რაც კეთდება სქართველოს ისტორიის ამ პერიოდის ირგვლივ მრავლის მეტყველია და ჩვენი ქვეყნის ისტორიის განსაზვრა ამ პერიოდის ცონდის გარეშე შუეძლებელია. აღნიშნა, რომ პროგრამა მოეწონა, სასაწვლო კურსების სახელწოდებები ძალიან კარგადაა, სწორად გადადგეს ნაბიჯი, რომ ეს პერიოდი სამაგისტრო დონეზეა შეთავაზებული.
აღნიშნა, ტექნიკური საკითხი, რომ პროგრამის სახელწოდება არ არის თანხვედრაში პროგრამის მიზანთან, კერძოდ დაკონკრეტებული არ არის საქართველოს ისტორია, თხოვნაა რომ გაასწორონ. თუმცა ასევე აღნიშნა, რომ კარგად აქვთ ეს ხარვეზი თვითშეფასებაში გასწორებული. რაც შეეხება სწავლების ენას შესაძლებელი იყო თავიდანვე სწავლების ენა ყოფილიყო ინგლისური. ამის რესურსი მთლიანად იყო აკადემიურ პერსონალშიც და მისაღებ სტუდენტებშიც. ეს ასევე დაეხმარებოდა პროგრამას ინტერნაციონალიზაციის და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის კუთხით. ასევე, მან აღნიშნა, რომ სილაბუსები განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთში თემები ჩაშლილია ზოგში არა. სტანდარტიზებული თუ იქნება მიწოდებული სტუდენტისთვის იქნებოდა კარგი. ასევე იკითხა საგნის სილაბუსზე სადაც გერმანულენოვანი ლინკი იყო მითითებული და ასევე ლინკებზე გადასვლა ვერ ხერხდებოდა. ასევე იკითხა

სამაგისტრო ნაშრომის დონეზე ინტერნაციონალიზაციის კუთხით ხომ არ უფიქრიათ მაგისტრანტის გაგზავნის შესაძლებლობა პარტნიორ უნივერტეტებში, შეიძლება ის ფინანსებთანაა დაკავშირებული, მაგრამ პროგრამის მიზნებთან სრულ თანხვედრაშია.
პროგრამის თანახელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გაცვლით პროგრამას რაც შეეხება წარმოდგენილ პროექტში ვერ ჩაწერდნენ რას გეგმავენ, რეალობა რაც არის ის ჩაწერეს, მაგრამ მთლიანად ეთანხმება. სწორედ ეს არის ამოსავალი წერილი მათ შორის ბატონი სტივენი და ალეკო იქნებიან ამაში დამხმარეები, არაა აუცილებელი, რომ ეს იყოს დაწესებულების მატერიალურ რესურსებით, არის მაგალითად ფულბრაიტი, ორმხრივი ხელშეკრულებები, როცა სტუდენტის რეკომენდაციტორი ის პირები არიან ვინც პროგრამამის განხორციელებაში იქნებიან ჩართულები წარმოუდგენლად დიდი შესაძლებლობაა, რომ სტუდენტი ასეთ გაცვლით პროგრამაში მოხვდეს.
სწავლების ენაზე აღნიშნა, რომ პირდაპირ ინგლისურურ ენაზე პროგრამის შეთავაზება ეს შეიძლება გაჩნდეს მომავალში, აქამდე არ იყო ასეთი დონის ინტერნაციონალიზებული პროგრამა, დააკვირდებიან, მიიღებენ გამოცდილებას და ამის შემდეგ იფიქრებენ ამაზე.
ექსპერტებმა საბჭოს წევრ გურანდა ჭელიძის კითხვაზე გერმანულენოვანი ლიტერატურის ლინკთან დაკავშირებით განმარტეს, რომ აღნიშნული გადამოწმდა და ინგლისურენოვან ლიტერატურაზე გადადის ლინკი.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა სილაბუსებთან დაკავშირებით, რომ მის ხელში გაიარა ყველა სილაბუსმა და მსგავსი არ ახსენდება, ერთი გამონაკლისი არის სილაბუსზე, რომელიც პრაქტიკული კუთხით არის დატვირთული და მიზეზიც ესაა.
ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ ის საგნები, რომლებიც ეხება ქართულ ენას, კულტრურას, ისტორიას უნივერტეტის პოლიტიკის შესაბამისად არის ინგლისურენოვანადაც შეთავაზებული. ამის მიზეზი ისიც არის, რომ საქართველოში გაცვლით პროგრამებით ჩამოსულ სტუდენტებს განსაკუთრებული ინტერესი აქვთ ადგილობრივი ენის, კულტურის და ისტორიის მიმართ და ამ საგნებს გადიან. ასევე აღნიშნული არ იყო წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან და ეს შესაძლებლობა გამოიყენეს.
ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა ალექსანდრე მიქაბერიძემ განმარტა, რომ ინტერნაციონალიზაციის კუთხით მის უნივერტეტშიც არის შესაძლებლობა, რომ კვლევის კუთხით სტუდენტები იყვნონ მივლინებულები, ამის წინასწარი თანხმობა მას უკვე აქვს. მასაც გააჩნია დაფინანსება მოკლევადიანი კვლევისთვის.
საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ რაოდენობრივად 15 სტუდენტის მიღება საკმაოდ ოპტიმალურია.
დაწესებულებამ განმარტა, რომ ასეთი პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას უფრო მეტად სახელმწიფო უნივერტეტი იძლევა რადგან ძირითადი მიზანი ამ პროგრამის კომერციული დაინტერესება არაა და უფრო მეტად ქვეყანას ემსახურება. არსებობს ცარიელი ნიშა ამ მიმართულებით და ეს უნდა შეივსოს ხარისხიანად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ა) საგნების იდენტიფიცირების მიზნით სათაურები მოვიდეს შესაბამისობაში ისე, რომ ჩანდეს ინგლისურ და ქართული სათაურებს შორის კორელაცია საგნებში – „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე 1789-1914 წლების გლობალური ისტორია“, „რუსეთის ისტორია პეტრე დიდიდან ოქტომბრის რევოლუციამდე“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთამდელი ქართული საზოგადოება (1890- 1921)“, „ახალი საქართველო (1985-2012)“ – სილაბუსებში მოცემულ დასახელებებთან („ევროპა და მსოფლიო ხანგრძლივი მე-19 საუკუნის პერიოდში, 1789-1914“, „იმპერიული რუსეთი“, „ქართული სოციალ-დემოკრატია ოპოზიციასა და ხელისუფლებაში“, „ერისა და სახელმწიფოს მშენებლობა ახალ საქართველოში (1985- 2012)“);

ბ) გასწორდეს ტექნიკური ხასიათის უზუსტობა ბიუჯეტში.

რჩევები:

ა) გამდიდრებულ იქნას ქართულენოვანი ლიტერატურით შემდეგი საგნები: ახალი საქართველო (1985-2012)“, „საბჭოთა საქართველოს ისტორია“, „კავკასია XIX-XXI: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია“ და „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთამდელი ქართული საზოგადოება (1890-1921);

ბ) სასურველია მრავალფეროვანი იყოს გარე შეფასების პროცესი.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა 4 წლის ვადით აკრედიტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა